საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები”

შპს „ოცნების სახლი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2023 წლის ნოემბერში შემოწმებულია ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოინჟ-კომპლექსი”-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ, 2023 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი. საველე სამუშაოები ჩატარებულია განყოფილების წამყვანი ინჟინერ გეოლოგის კ. სირაძის ხელმძღვანელობით. საველე სამუშაოების დროს აღებულ გრუნტის ნიმუშებზე ლაბორატორიული კვლევები ჩატარებულია შპს “გეოინჟკომპლექსი”-ს ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით. დასკვნაში ასევე გამოყენებულია მოცემულ რაიონში შპს „გეოინჟკომპლექსის” მიერ, სხვადასხვა ობიექტებზე, წინა წლებში, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მასალები, დაცული არქივში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 8 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიწერილობა..... 1 გვ;
4. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები ..... 2 გვ;
5. კლდოვანი ქანების კვლევის შედეგები ..... 1 გვ;

6. ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით..... 1 გვ;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 1 ფურც;
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... 4 ფურც.

პროექტით, საკვლევ მოედანზე იგეგმება 8 სართულიანი, სარდაფით (ავტოსადგომი) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. შენობა-ნაგებობების ტიპი, კარკასული, ბლოკის შევსებით. საძირკვლის სავარაუდო ტიპი: ხიმინჯები.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, ტერიტორიაზე, გაიბურღა 3 ჭაბურღილი, №3-5 სიღრმით 12,0 მ თითოეული. ბურღვის მთლიანი მოცულობა 36 გრძ. მეტრია. ბურღვა ჩატარდა მიწერილობაში მოცემული მეთოდით. გაყვანილია 2 შურფი, №1-2 სიღრმით 3,5 მ თითოეული. უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, საკონტროლოდ, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის (კერნი) ნიმუშები – 14 ნიმუში, რომლებზედაც შესრულებულია შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

გეომორფოლოგიურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მიეკუთვნება ლისის ქედის სამხრეთი ფერდის ნაწილს. უბნის რელიეფი ტექნოგენურია – მცირედით მოჭრილია და მოსწორებულია. უბნის რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები 538,7–542,2 მ-ის ფარგლებშია. უბანზე ამჟამად განთავსებულია 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის დემონტაჟი გათვალისწინებულია პროექტით.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, სამშენებლო უბანზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

1. **ფენა 1 – ნაყარი – tQ_{IV}** – წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტის, კენჭების, ღორღის, სამშენებლო ნაგვის ნარევით, სიმძლავრით 0.4-1.5მ;
2. **ფენა 2 – I სბე** – თიხა ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღის და ხვინჭის 10-15%-მდე ჩანართებით, გავრცელებულია 0.7-2.3მ სიმძლავრით;
   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:
   - გრუნტის სიმკვრივე 1.90გრ/სმ^3
   - შიგა ხახუნის კუთხე $\varphi = 19^0$
   - ხვედრითი შეჭიდულობა C=0.54კგძ/სმ^2
   - დეფორმაციის მოდული E=210კგძ/სმ^2
   - საანგარიშო წინაღობა R_0=3.0კგძ/სმ^2

- პუასონის კოეფიციენტი 0.42
- საგების კოეფიციენტი 3.5

3. **ᲤᲔᲜᲐ 3 – II ᲡᲑᲔ – ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲒᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲘᲨᲐᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲝᲑᲐ, ᲫᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲢᲣᲚᲘ,** ეროზიული ზედაპირიდან 1,9–4,0 მ სიღრმეზე, ძლიერ გამოფიტული – არგილითები დაშლილი და დანაწევრებულია მცირე ზომის ფილებად, ხოლო ქვიშაქვები დანაპრალიანებულია მრავალრიცხოვანი ურთიერთგამკვეთი ნაპრალებით (მასივში ქანის მთლიანობა დარღვეულია).

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- გრუნტის სიმკვრივე 2.15გრ/სმ^3
- დეფორმაციის მოდული E=350კგძ/სმ^2
- საანგარიშო წინაღობა R0=4.03.5კგძ/სმ^2
- პუასონის კოეფიციენტი 0.24-0.35
- საგების კოეფიციენტი 5.0

4. **ᲤᲔᲜᲐ 4 – III ᲡᲑᲔ – ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲥᲐᲜᲘ – ᲐᲠᲒᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲘᲨᲐᲥᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲝᲑᲐ, ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲢᲣᲚᲘ**. სიღრმეში, გამოფიტულობა მცირდება, ძაფისებრი ნაპრალები ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული. ქანების ეს ზონა ნაკლებად გამოფიტულია (სუსტად გამოფიტული), დამახასიათებელი მოლურჯო-ნაცრისფერი შეფერილობით. ძირითადი ქანების შრეების დახრა სამხრეთ-აღმოსავლეთურია, საშუალოდ 30^0-იანი კუთხით, დაქანების აზიმუტი სა 160–165^0.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ = 2.30 გრ/სმ^3
- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_c = 115კგძ/სმ^2
- საგების კოეფიციენტი 100 კგ/სმ^3
- პუასონის კოეფიციენტი 0.25

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გამოირჩევა მიწისქვეშა წყლის არარსებობით გამოკვლეული სიღრმის ფარლებში, თუმცა №5 ჭაბურღილში წყალი გამოვლინდა 4,2 მ სიღრმეზე მცირე მოდენით. დღის განმავლობაში ჭაბურღილში წყალი არ ჩამდგარა (ნაპრალოვანი ქანების

არსებობისას, მიმდინარეობს წყლის სიღრმეში ფილტრაცია). აღნიშნული წყლის გამოჩენა ჭაბურღილში დაკავშირებული უნდა იყოს მიწისქვეშა წყალშემცავი კომუნიკაციებიდან გაჟონვებთან.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 (რვა) ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით განეკუთვნება II კატეგორიას.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს, გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ანგარიშის "ქ.თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება"-ს მიხედვით უბის უდიდესი ნაწილი საშუალო რისკის ზონაში იმყოფება, ხოლო ნაწილი დაბალი რისკის ზონაში, ავტორის კვლევებით, დღევანდელი მდგომარეობით, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ისეთი არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები, როგორიცაა მეწყერი, შვავი, სპეციფიკური გრუნტები და სხვა, აქ არ აღინიშნება, თუმცა, არახელსაყრელი ფაქტორია – გრუნტების სულფატური დამარილიანება. უბნის საინჟინრო გეოლოგიური შეფასებისა და საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საკვლევი უბანი, მიეკუთვნება II – საშუალო კატეგორიას. ჩატარებული კვლევების გათვალისწინებით ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: დასაპროექტებელი შენობის ფუძე-გრუნტად მიღებული იქნეს III სგე-ის გრუნტი. საძირკვლების ტიპებად შეიძლება რეკომენდებული იქნეს ჩვეულებრივი საძირკველი – ლენტური ან ფილის საძირკველი. საძირკვლის ტიპად შეიძლება გამოყენებული იქნეს ხიმინჯოვანი საძირკველიც, თუმცა ეს საკითხი საბოლოო ჯამში მაინც კონსტრუქტორის გადასაწყვეტია და უნდა მოხდეს სათანადო გათვლების საფუძველზე. ძირითადი ქანების მდგენელი ფენის – არგილითის სულფატური დამარილიანების გამო, საძირკვლების კონსტრუქციებისთვის საჭიროა გამოყენებული იქნეს სულფატომედეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები.

დასკვნა

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი, 8 სართულიანი, ერთი მიწისქვეშა სართულით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები,

აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის მასალები, გამონამუშევრების სიღრმეები და რაოდენობა შესააბამება ნორმებს. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,პროფესორი:  /ია მშვიდობაძე/

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	**გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა.**საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:** "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020.**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. ალებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

ქ.თბილისი

09/06/2022 წელი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ია მშვიდობაძეს პ/ნ 01024023058 მასზედ, რომ იგი, 2019 წლის აპრილიდან ნამდვილად მუშაობს შპს ,,რეალექსპერტი"-ში (ს/კ 404470434), საინჟინრო გეოლოგიური სფეროს, ინსპექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შპს ,,რეალექსპერტის"

ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: /კახაბერ ვარძიელი/



მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board ბ 04 06 №5
(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан

в том, что он в 19 79 году поступил в

и в 19 84 году окончил по курсу

по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии


Ректор

М. П. Город 19 84 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Госзнака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

განცხადება

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში შალვა ნუცუბიძის ქუჩა N205, 01.14.01.007.420 საკადასტრო კოდზე არსებულ მიწაზე, ჩვენი თანდასწრებით და მონაწილეობით, ნამდვილად ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა საბურღი დაზგის მეშვეობით და ასევე ხელბურღის საშუალებით გაკეთდა გეოლოგიური შურფები.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარებისას ადგილზე არ განხორციელებულა ფოტო დასურათება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილების (N6894172) (AR11003225) საფუძველზე წარმოგიდგენთ განცხადებას, რაზეც ხელს ვაწერთ მხარეები და ვადასტურებთ, რომ ადგილზე ჩვენი თანდასწრებით განხორციელდა გეოლოგიური კვლევა, რომლის დროსაც არ გადაღებულა ფოტოები, შესაბამისად ვერ მოხდება მათი წარმოდგენა.

დავით ნაცვლიშვილი პ/ნ 01008034244 _____

ციალა გიგაურიშვილი პ/ნ 01008034438 _____

ინჟინერ გეოლოგი კახაბერ სირაძე პ/ნ 01010001722 _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240245262
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.02.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ დადვანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ.12 მიმდებარედ
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593374689
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	90844088747224

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდაცხრა თებერვალი. მე, ნოტარიუს თამარ დადვანს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, მეთორმეტე კორპუსის მიმდებარედ, მომმართეს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა დავით ნაცვლიშვილმა (დაბადებული 11.10.1962 წელს, პირადი N 01008034244, მისამართი: თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 205), ციალა გიგაურიშვილმა (დაბადებული 21.05.1942 წელს, პირადი N 01008034438, მისამართი: თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 205) და კახაბერ სირაძემ (დაბადებული 09.01.1977 წელს, პირადი N 01010001722, მისამართი: თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი I, კორპუსი 13, ბინა 30).
მათ სანოტარო ბიუროში წარმოადგინეს განცხადება, შედგენილი ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარი და მთხოვეს აღნიშნულ განცხადებაზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რომ მათ ნამდვილად სურთ განცხადებაზე მხოლოდ თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე მათ განვუმარტე, რომ მე ნოტარიუსი პასუხს არ ვაგებ წარმოდგენილი განცხადების შინაარსზე. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი აღნიშნულ განცხადებას, რის შემდეგაც დავამოწმე მათი ხელმოწერების ნამდვილობა წინამდებარე განცხადების ერთ გვერდზე, ორ ეგზემპლარად, დამოწმებულია ექვსი ხელმოწერის ნამდვილობა.
ნოტარიუსი აღნიშნული დოკუმენტის დამოწმებისას ადასტურებს, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა ხელმომწერებს ეკუთვნით, ნოტარიუსი პასუხს არ აგებს მოყვანილი ფაქტების ნამდვილობაზე.
გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 36.00 (ოცდათექვსმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის #507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის.სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 5.00 (ხუთი) ლარი, თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლისა და დღგ 6.48 (ექვსი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსისა - მუხლი 166. სულ გადახდილია: 47.48 (ორმოცდაშვიდი ლარი და ორმოცდარვა თეთრი) ლარი.
ნოტარიუსი თამარ დადვანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ფიზიკური პირი დავით ნაცვლიშვილი (პ/ნ 01008034244) და ციალა გიგაურიშვილი (პ/ნ 01008034438) თანხმობას ვაცხადებთ მასზედ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე/მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე, რომლის მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია: **01.14.01.007.420** (მიწის ნაკვეთის წინა ნომრები **01.14.01.007.338 / 01.14.01.007.113**) მის: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N 205) კომპანია შპს ,,ოცნების სახლი"-მა (406124536) მიიღოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში AR11003225 განაცხადით მოთხოვნილი უფლება სრულად.

პატივისცემით

დავით ნაცვლიშვილი ✓ დავით ნაცვლიშვილი

ციალა გიგაურაშვილი ✓ ციალა გიგაურაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240138694
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.02.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ჟენია ტარტარაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. №42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2771600
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83335135328024

ორი ათას ოცდაოთხი წლის ექვს თებერვალს მე, ჟენია ტარტარაშვილს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, წმ.ქეთევან დედოფლის გამზირი #42-ში, მომმართეს დავით ნაცვლიშვილმა და ციალა გიგაურიშვილმა, რომლებმაც წარმოადგინეს მათ მიერ შედგენილი თანხმობა 06.02.2024წ. და მოითხოვეს მასზე თავიანთი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დავით ნაცვლიშვილმა (დაბ:11.10.1962წ. საქართველო, თბილისი, პ/N 01008034244, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 205) და ციალა გიგაურიშვილმა (დაბ:21.05.1942წ. საქართველო, თბილისი, პ/N 01008034438, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 205) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ: ინსტრუქციის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" მე-15 მუხლის მე-6 პუნქტისა, გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა". რის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით შეასრულეს თავიანთი ხელმოწერა (ოთხი ხელმოწერა), რასაც ვამოწმებ 2 ეგზემპლარად. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 24.00 (ოცდაოთხი) ლარი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31.3-ე, 39.1 და 31.13 მუხლისა და დღგ 4.32 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: /ჟენია ტარტარაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

დაკვეთა №128/2023

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2023 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

I ტექსტური ნაწილი

1. ტექნიკური დავალება.....1
2. მიწერილობა.....2
3. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.....3 - 10

II ტექსტური ნაწილის დანართები
ლაბორატორიული კვლევები

4. გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები.....11 - 12
5. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები 13

III გრაფიკული მასალა

6. უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, გამონამუშევრების და ჭრილის ხაზების დატანით ფ.1
7. გამონამუშევრების გეოლოგიური ჭრილები.....ფ.2
8. უბნის გეოლოგიური ჭრილები..... ფ.3 - 6

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქ. №205 (საკადასტრო კოდი 01.14.01.007.420).

დამკვეთი – შპს „ოცნების სახლი“ დირექტორი გოჩა კალანდაძე.

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა.

შენობის კონსტრუქციული ტიპი – კარკასი.

სართულიანობა – 8 სართულიანი, სარდაფით (ავტოსადგომი).

საძირკვლის სავარაუდო ტიპი – გეოლოგიური პირობების მიხედვით (ჩვეულებრივი, ხიმინჯოვანი).

საძირკვლის მასალა – რკინაბეტონი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

დავალება გასცა გ. კალანდაძე

მ ი წ ე რ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ.№205-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ. 1.19-ის მე-2 შენიშვნის და პ. 1.22, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი: უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების გადაწყვეტა.

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოზე, შ. ნუცუბიძის ქ. №205-ში.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, უნდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

1) ბურღვითი სამუშაოები – 3 ჭაბურღილის ბურღვა, სავარაუდო სიღრმით 12,0 მ, სულ 36 გრძ. მეტრი;
2) 2 შურფის გაყვანა, სავარაუდო სიღრმით 3,5 მ, სულ 7,0 მ.

ბურღვა შესრულდეს მექანიკური სვეტური მეთოდით (საბურღი აგრეგატი „უგბ-1ვს“, d=160 მმ-მდე), მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით კერნის უწყვეტი ამოღებით.

შენიშვნა: გეოლოგიური ჭრილების დასაზუსტებლად საჭირო იქნება 2 შურფის გაყვანა, იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელია მექანიკური სამუშაოების ბურღვითი სამუშაოების შესრულება.

გამონამუშევრებიდან აღებულ იქნეს უბანზე გავრცელებული გრუნტების ნიმუშები, ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად.

გრუნტის წყლის გამოვლინებისას, აღებული იყოს გრუნტის წყლის სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის (სინჯების რაოდენობა არანაკლები 3-სა).

აღებულ ნიმუშებზე განისაზღვროს ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგენილი იქნეს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. შესრულდეს კვლევის მასალების ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. №205-ში (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

შპს „ოცნების სახლის“ (დირექტორი გ. კალანდაძე) დაკვეთით (დაკვეთა №128/2023), შპს „გეოინჟკომპლექსმა”, 2023 წლის ნოემბერში, ქ. თბილისში, საბურთალოზე (ს/კ 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანი:

– მშენებლობისთვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება;

– შენობის დაფუძნების საკითხების გადაწყვეტა.

დასაპროექტებელი შენობის ადგილმდებარეობა და ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

მოცემულ რაიონში შპს „გეოინჟკომპლექსის” მიერ, სხვადასხვა ობიექტებზე, წინა წლებში, ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები. ობიექტების კვლევების მასალები დაცულია არქივში.

ტექნიკური დავალების საფუძველზე და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების თანახმად შედგენილი მიწერილობის მიხედვით, ჩატარდა უბნის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

უბანზე მისადგომ ადგილებში გაიბურღა 3 ჭაბურღილი, სიღრმით 12,0 მ თითოეული. ბურღვის მთლიანი მოცულობა 36 გრძ. მეტრია. ბურღვა ჩატარდა მექანიკური-სვეტური მეთოდით, საბურღი დაზგით „უგბ-1 ვს“, 160 მმ-მდე დიამეტრით, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით. საბურღი დაზგის მიუდგომელ ადგილებში გაყვანილია 2 შურფი, სიღრმით 3,5 მ თითოეული. შურფები გაყვანილი იქნა ხელით, ძალაყინის, წერაქვის, ბარის და ნიჩაბის სათხრელი იარაღების გამოყენებით.

უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, საკონტროლოდ, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის (კერნი) ნიმუშები – 14 ნიმუში.

ნიმუშების კონკრეტული სიღრმეები მოცემულია კვლევითი გამონამუშევრების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ გამონამუშევრები ლიკვიდირებულია განაბურღი და ამონაღები გრუნტით.

გრუნტების ნიმუშების კვლევა შესრულდა შპს „გეოინჟკომპლექსის” გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმა, რომელზედაც დატანილია გამონამუშევრების განლაგება. კვლევითი გამონამუშევრების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა შესრულდა ამ ტოპოგეგმის მიხედვით.

სავლე სამუშაოები ჩატარდა განყოფილების წამყვანი ინჟინერ გეოლოგის კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოზე, ნუცუბიძის ქ. №205-ში.

პნ 01.05-08-ს (სამშენებლო კლიმატოლოგია) თანახმად, რაიონის (საბურთალო) ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– წლის საშუალო ტემპერატურა +12,2°C;
– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;
– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;
– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;
– ქარის უდიდესი სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;
– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის;
– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;
– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

გეომორფოლოგიურად, მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი მიეკუთვნება ლისის ქედის სამხრეთი ფერდის ნაწილს. უბნის რელიეფი ტექნოგენურია – მცირედით მოჭრილია და მოსწორებულია.

უბნის რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები 538,7–542,2 მ-ის ფარგლებშია.

უბანზე ამჟამად განთავსებულია 3 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის დემონტაჟი გათვალისწინებულია პროექტით.

ჩატარებული სავლე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე შედგენილია კვლევითი გამონამუშევრების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლო მოედნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბანი აგებულია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით – ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით. ძირითად ქანებში რიგ ადგილებში ჭარბობს ქვიშაქვები, ზოგან კი არგილითები, თუმცა მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ მასივში ისინი დაახლოებით თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი (50–50%).

ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან 1,9–4,0 მ სიღრმეზე, ძლიერ გამოფიტული – არგილითები დაშლილი და დანაწევრებულია მცირე ზომის ფილებად, ხოლო ქვიშაქვები დანაპრალიანებულია მრავალრიცხოვანი ურთიერთგამკვეთი ნაპრალებით (მასივში ქანის მთლიანობა დარღვეულია).

ძირითადი ქანის ძლიერ გამოფიტული ზონა გეოლოგიურ ჭრილებზე ცალკე ფენად არის გამოყოფილი (ფენა 3).

სიღრმეში, გამოფიტულობა მცირდება, ძაფისებრი ნაპრალები ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული. ქანების ეს ზონა ნაკლებად გამოფიტულია (სუსტად გამოფიტული), დამახასიათებელი მოლურჯო-ნაცრისფერი შეფერილობით. ძირითადი ქანის ეს ფენა გეოლოგიურ ჭრილებზე დატანილია ფენა 4-ით.

ძირითადი ქანების შრეების დახრა სამხრეთ-აღმოსავლეთურია, საშუალოდ 30°-იანი კუთხით (დაქანების აზიმუტი სა 160–165°) და ამ მონაცემებითაა დატანილი გეოლოგიურ ჭრილებზე (გამოყენებულია ობრუჩევის შემასწორებელი კუთხეების ცხრილი). ქანების შრეების დახრა ძირითადად თანხვდენილია რაიონის საერთო რელიეფის მიმართ.

ძირითადი ქანები დაფარულია 0,4–1,5 მ სიმძლავრის ნაყარი გრუნტით – თიხოვანი გრუნტის, კენჭების, ღორღის, სამშენებლო ნაგვის ნარევით და ნახევრადმყარი დელუვიური თიხოვანი გრუნტით, სიმძლავრით 0,7–2,3 მ.

ჰიდროგეოლოგიური პირობები განპირობებულია მიწისქვეშა წყლის არარსებობით გამოკვლეული სიღრმის ფარლებში, თუმცა №5 ჭაბურღილში წყალი დაფიქსირდა 4,2 მ სიღრმეზე მცირე მოდენით. დღის განმავლობაში ჭაბურღილში წყალი არ ჩამდგარა და სინჯის აღება შეუძლებელია (ნაპრალოვანი ქანების არსებობისას, მიმდინარეობს წყლის სიღრმეში ფილტრაცია). აღნიშნული წყლის გამოჩენა ჭაბურღილში დაკავშირებული უნდა იყოს მიწისქვეშა წყალშემცავი კომუნიკაციებიდან გაჟონვებთან.

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, კვლევითი გამონამუშევრებიდან აღებული იყო უბანზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 14 ნიმუში, აქედან:

– დაურღვეველი სტრუქტურის 3 ნიმუში – ფენა 2-ის დელუვიური თიხოვანი გრუნტიდან;

– დაურღვეველი სტრუქტურის 4 ნიმუში – ფენა 3-ის ძირითადი ქანის ელუვირებული ზონიდან (კერნი);

– დაურღვეველი სტრუქტურის 7 ნიმუში – ფენა 4-ის ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებიდან (4 არგილითიდან, 3 ქვიშაქვიდან).

ლაბორატორიაში ფენა 2-ის დელუვიურ თიხოვან გრუნტზე განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების 3 სრული კომპლექსი;

ფენა 3-ის ელუვირებულ გრუნტზე განისაზღვრა 4 ფიზიკური მახასიათებელი (სიმკვრივე ρ):

ფენა 4-ის ნაკლებადგამოფიტულ ძირითად ქანზე ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები – სიმტკიცის ზღვრები ერთღერძა კუმშვაზე და სიმკვრივე (4 არგილითი, 3 ქვიშაქვა).

ქვემოთ, ცხრილში, კრებსითი ცხრილიდან ამოკრებილია ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტის ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები. ცხრილში, აგრეთვე შეტანილია ფენა 3-ის ძლიერ გამოფიტული (ელუვირებული) ზონის სიმკვრივის მნიშვენლობები.

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ მნიშვნელობათა დიაპაზონი		საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
					ფენა 2	ფენა 3	ფენა 2	ფენა 3
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,18–0,21	–	0,20	–
2	ტენიანობა		W	%	19,6–21,3	–	20,4	–
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,88–1,92	2,14–2,17	1,90	2,15
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,56–1,61	–	1,57	–
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,73	–	2,73	–
4	ფორიანობა		n	%	41,2–42,9	–	42,3	–
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,701–0,752	–	0,734	–
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,07–0,11	–	0,09	–
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,74–0,77	–	0,75	–

ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, გრუნტები განისაზღვრა:

ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,09), არასრულად წყალგაჯერებული ($\overline{S_r}$=0,75<0,80), თიხა ($\overline{I_P}$=0,20)

ფენა 3-ის სიმკვრივის ცვალებადობის დიაპაზონი – ρ=2,14–2,17 გ/სმ³ ($\overline{\rho}$=2,15 გ/სმ³).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

ფენა 4-ის ძირითადი ქანისთვის განისაზღვრა სიმკვრივეები და სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში (ძირითადი ქანის სიმტკიცე განისაზღვრა კერნიდან აღებული ქანის მონატეხზე, „Controls“-ის ფირმის ხელსაწყოზე).

ლაბორატორიული გამოცდებით მიღებულია:

არგილითებისთვის:

– სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში – R_C=4,6–4,9 მპა ($\overline{R_C}$=4,8 მპა);

– სიმკვრივე – ρ=2,22–2,25 გ/სმ^3 ($\overline{\rho}$=2,23 გ/სმ^3).

ქვიშაქვებისთვის:

– სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში – R_C=17,5–12,5 მპა ($\overline{R_C}$=18,4 მპა);

– სიმკვრივე – ρ=2,38–2,42 გ/სმ^3 ($\overline{\rho}$=2,40 გ/სმ^3).

მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08 დანართი 1-ის საკლასიფიკაციო ცხრილი 1-ის თანახმად, გრუნტები განისაზღვრა:

არგილითი – ნახევრადკლდოვანი გრუნტი – $\overline{R_C}$=4,8 მპა;

ქვიშაქვა – საშუალო სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი – $\overline{R_C}$=18,4 მპა.

ძირითადი ქანის მთლიანი მასივისთვის სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეიძლება რეკომენდებული იქნეს არგილითის და ქვიშაქვის გასაშუალებული მნიშვნელობა 11,5 მპა (115 კგძ/სმ^2).

ძირითადი ქანის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების განსაზღვრის პარალელურად, შერჩევით 3 ნიმუშზე განისაზღვრა დამარილიანების ხარისხი, რომლის შედეგები მოცემულია კრებსით ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძირითადი ქანის მდგენელი არგილითი მიეკუთვნება დამარილიანებულის კატეგორიას, ვინაიდან ადვილად და საშუალოდხსნადი მარილების ჯამური შემცველობა აბსოლუტურად მშრალი გრუნტის საერთო მასაში მეტია 2%-იან კრიტერიუმზე (სულფატური დამარილიანება).

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ განხილულის საფუძველზე, დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისთვის გამოყოფილი უბანი დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან აქ არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი.

   ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის მიხედვით უბანი საშუალო რისკის ზონაშია, თუმცა რაიონი განაშენიანებულია. უბნის რელიეფი მოსწორებულია და რაიმე დამატებითი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

   არახელსაყრელი ფაქტორია – გრუნტების სულფატური დამარილიანება.

   სნ და წ 1.02.07–87-ის მე-10 დანართის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, უბანი მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. უბნის გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი გრუნტების ფენები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტებს **(სბე):**

   I სბე – დელუვიური თიხოვანი გრუნტი (ფენა 2);

   II სბე – ძლიერ გამოფიტული (ელუვირებული ზონა) ძირითადი ქანი (ფენა 3);

   III სბე – ნაკლებად გამოფიტული (სუსტად გამოფიტული) ძირითადი ქანი (ფენა 4).

   მცირე სიმძლავრის ნაყარი გრუნტი (ფენა 1) ქვაბულით მოიხსნება და **სბე**-ად გამოყოფილი არ არის.

3. დასაპროექტებელი შენობის ფუძე-გრუნტად შეიძლება მიღებული იქნეს **II** და **III სბე**-ის გრუნტი.

   საძირკვლების ტიპებად შეიძლება რეკომენდებული იქნეს ჩვეულებრივი საძირკველი – ლენტური ან ფილის საძირკველი.

   შენიშვნა: საძირკვლის ტიპად შეიძლება გამოყენებული იქნეს ხიმინჯოვანი საძირკველიც, სეისმურ რაიონებში ხიმინჯის სიგრძის მხედველობაში მიღებით (არანაკლები 4,0 მ-სა).

4. უბანზე გამოყოფილ სამივე **სბე**-ს გრუნტის საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები მოცემულია ქვემოთ, ცხრილში. საანგარიშო-ნორმატიული პარამეტრები მიღებულია ლაბორატორიული კვლევის, ნორმატიული დოკუმენტების და დამპროექტებლის ცნობარების საფუძველზე.

ცხრილი 2

№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები		
		I სბე (ფენა 2)	**II სბე (ფენა 3)**	**III სბე (ფენა 4)**
1	სიმკვრივე, ρ გ/სმ^3	1,90	2,15	2,30
2	ხვედრითი შეჭიდულობაc კპა (კგძ/სმ^2)	54(0,54)	–	–
3	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	19	–	–
4	დეფორმაციის მოდული, E მპა (კგძ/სმ^2)	21(210)	35(350)	–
5	საანგარიშო წინაღობა, R_0 კპა (კგძ/სმ^2)	300(3,0)	350(3,5)	–
6	სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $R_{C,n}$ კპა (კგძ/სმ^2)	–	–	11500 (115)
7	საგების კოეფიციენტი, k კგძ/სმ^3	3,5	5,0	100,0
8	პუასონის კოეფიციენტი, μ	0,42	0,24–0,35	0,25

5. ძირითადი ქანების მდგენელი ფენის – არგილითის სულფატური დამარილიანების გამო, საძირკვლების კონსტრუქციებისთვის საჭიროა გამოყენებული იქნეს სულფატომდეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები.

6. პნ 01.01–09-ის (სეისმომედეგი მშენებლობა) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

   სეისმური თვისებების მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

   ა) ნაყარი (ფენა 1) – III კატეგორიას;

   ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 3 და 4) – II კატეგორიას.

   უბნის საანგარიშო სეისურობად მიღებული იქნეს 8 ბალი.

   სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი ქ. თბილისისთვის A=0,17.

7. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01–87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2–82-ის I–I ცხრილის თანახმად, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:
   ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ. №24^ა);
   ბ) თიხა (ფენა 2) – სამივე სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით 1900 კგ/მ^3 (რიგ. №8^ბ);
   გ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3) – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას – V ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2000 კგ/მ^3 (რიგ. №№3^ა; 28^ა);
   დ) სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანი – დასამუშავებელი მოცულობის 50% – ერთციცხვიანი ექსკავატორით დამუშავებისას – VI ჯგუფს, 50% – ხელით დამუშავებისას – VII ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2300 კგ/მ^3 (რიგ.№№3^ბ; 28^ბ).

9. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების გამოყენებისას, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება იმავე ნორმატიული დოკუმენტის მე-4 კრებულის „ჭაბურღილები", 4–5 და 4–6 ცხრილებიდან.

ინჟინერ გეოლოგი კ. სირაძე

შპს „გეოინჟკომპლექსის"
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	

ობიექტის დასახელება: ქ. თბილისი. ნუცუბიძის ქ. №205 (ს.კ. 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

№№	გამონამუშევარი	ასების სიღრმე	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა	სიმკვრივე			ფორიანობა	ფორიანობის კოეფ-ტი		დენადობის მახვნებელი	ტენიანობის ხარისხი	წებოვანი ფხვიერის მშრალი მახვნებელი	დაბარდოვანების ხარისხი	ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა	თაბაშირის შემცველობა	კარბონატების შემცველობა	ბრუნტის დასახელება
					დენადობის ზღვარი	პლასტიკურ. ზღვარი	რიცხვი		ბრუნტის	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების		საწყისი	დენადობის ზღვარზე								
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	e_L	I_L	S_r	I_{ss}	D_{sal}	-	$CaSO_4 \cdot 2H_2O$	$CaCO_3$	
		მ			-	-	-	%	გ/სმ^3			%	-	-	-	-	-	-	%	%	%	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
1	შ №1	1,5	მონ.	279	0,39	0,19	0,20	20,4	1,88	1,56	2,73	42,8	0,748	1,065	0,07	0,74	0,18					თიხა
2		2,5	მონ.	280					2,14									დამ.	3,3	2,1	5,5	არგილითი
3	შ №2	3,0	მონ.	281	0,36	0,18	0,18	19,6	1,92	1,61	2,73	41,2	0,701	0,983	0,09	0,76	0,17					თიხა
4	ჭაბ. №3	3,0	მონ.	282					2,16									დამ.	2,7	1,6	5,0	არგილითი
5		5,0	მონ.	283					2,22													არგილითი
6		8,0	მონ.	284					2,25													არგილითი
7		10,0	მონ.	285					2,42													ქვიშაქვა
8	ჭაბ. №4	2,5	მონ.	286	0,40	0,19	0,21	21,3	1,89	1,56	2,73	42,9	0,752	1,092	0,11	0,77	0,19					თიხა
9		3,0	მონ.	287					2,14													არგილითი
10		6,5	მონ.	288					2,24													არგილითი
11		9,5	მონ.	289					2,38													ქვიშაქვა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23
12	ჭაბ. №5	3,5	მონ.	290					2,17									დამ.	3,4	1,9	5,5	არგილითი
13		7,0	მონ.	291					2,22													არგილითი
14		9,0	მონ.	292					2,41													ქვიშაქვა

გამოკვლევის დაწყება 11.11.2023

გამოკვლევის დამთავრება 22.11.2023

ინჟინერი მ. ჭარბაძე

წამყვანი ინჟინერ ჟიმიკოსი ნ. სურგულაძე

ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

შპს „გეოინჟკომპლექსი“ გეოტექნიკური ლაბორატორია თბილისი. შარტავას ქ. №43დ	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	

ობიექტის დასახელება	ქ. თბილისი. ნუცუბიძის ქ. №205 (ს.კ. 01.14.01.007.420) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

№№	ბამონაბურღვარი	ალების სიღრმე	ბამოღების წესი	ლაბ. №	სიბანე	დიამეტრი	ფართობი	ექვივალენტური დიამეტრი		მრღვევი ძალა	სიმტკიცის ინდექსი	კორექტირების კოეფ-ტი	კორექტირებული სიმტკიცის ინდექსი	კოეფ-ტი	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე (წყალგაჯ.)	სიმკვრივე	ბრუნტის დასახელება
		h			W	D	A	D_e^2	D_e	P	I_s	F	$I_{s(50)}$	C	$Rc\ (\delta_{uc})$	ρ	
		მ			მმ	მმ	მმ^2	მმ^2	მმ	კნ	მპა	-	მპა	-	მპა	გ/სმ^3	
1	ჭაბ. №3	5,0	d -არასწორი ფორმის	283	66,3	35,5	2353,8	2996,9	54,74	0,548	0,18	1,04	0,19	24,0	4,6	2,22	არგილითი
2		8,0	d -არასწორი ფორმის	284	70,0	29,1	2037,0	2593,6	50,93	0,550	0,21	1,01	0,21	23,0	4,9	2,25	არგილითი
3		10,0	d -არასწორი ფორმის	285	81,1	42,6	3454,9	4398,9	66,32	3,088	0,70	1,14	0,80	24,5	19,5	2,42	ქვიშაქვა
4	ჭაბ. №4	6,5	d -არასწორი ფორმის	288	65,5	35,0	2292,5	2918,9	54,03	0,569	0,19	1,04	0,20	24,0	4,8	2,24	არგილითი
5		9,5	d -არასწორი ფორმის	289	77,7	44,4	3449,9	4392,5	66,28	2,763	0,63	1,14	0,71	24,5	17,5	2,38	ქვიშაქვა
6	ჭაბ. №5	7,0	d -არასწორი ფორმის	291	72,2	39,9	2880,8	3667,9	60,56	0,656	0,18	1,09	0,19	24,5	4,8	2,22	არგილითი
7		9,0	d -არასწორი ფორმის	292	75,3	40,7	3064,7	3902,1	62,47	2,605	0,67	1,11	0,74	24,5	18,1	2,41	ქვიშაქვა

ინჟინერი მ. ჭარბაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელი დ. ახობაძე

ტოპოგრაფიული რუკა



ჭ/ს
ჭ/ს
ჭ/ს

ვარიანტი №1

| № ფენის | ფენის ლითოლოგიური აღწერა | ფენის სიმძლავრე, მ | ფენის ჭაბურღილში დაშვების სიღრმე, მ | ფენის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მახასიათებლების მნიშვნელობა | | |

ჭ რ ი ლ ი 1 – 2 – 3

მ. 1:100



გამონამუშ. №№	შ.№1		შ.№2			ჭაბ.№3
მიწის ზედაპირის ნიშნულები	541.30		542.70	542.50	539.90	538.90
მანძილი მ-ში		12.50	4.50	7.50	7.50	

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} (1) — ნაყარი – თიხოვანი გრუნტის, კენჭების, ღორღის და სამშენებლო ნაგვის ნარევი

dQ_{IV} (2) — თიხა ყავისფერი, ნახევრადმყარი კონსისტენციის, ღორღის და ხვინჭის 10-15%-მდე ჩანართებით


$₽_2^3$ (3) — ძირითადი ქანი – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული

$₽_2^3$ (4) — ძირითადი ქანი – არგილითების და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა		
დირექტორი	ზ. კვაჭანტირაძე		ქ. თბილისი შალვა ნუცუბიძის ქ.№205 ს.კ 01.14.01.007.420 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	შპს „გეოინჟკომპლექსი“ ქ. თბილისი. ქ. შარტავას ქ. №43ᵈ e-mail: geo.logi@yahoo.com ტელ: (032) 2 37 62 55
მთ.გეოლოგი	ა. პასიკაშვილი			
ინჟ.გეოლოგი	კ. სირაძე			
ინჟ.გეოლოგი	მ. ბურდული			
			უბნის გეოლოგიური ჭრილი	დაკვ. №128/2023
				ფურცელი 3 ფურცლები 6

ჭრილი 4 – 5

მ. 1:100



გამონამუშ. №№	ჭაბ.№4		ჭაბ.№5
მიწის ზედაპირის ნიშნულები	540.20		538.70
მანძილი მ-ში		19.50	

პირობითი აღნიშვნები

tQ_{IV} ① ნაყარი – თიხოვანი გრუნტის, კენჭების, ღორღის და სამშენებლო ნაგვის ნარევი

